ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ცოცხალი აქტი

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ცოცხალი აქტი

ინგლისურენოვანი გამოცემა: The European Convention on Human Rights – A living instrument

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ. ამ საგანმანათლებლო ტექსტის ერთადერთი მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების მარტივი ფორმით წარმოდგენა. სავალდებულო იურიდიული ძალის მატარებელ დოკუმენტს კონვენციის მხოლოდ ინგლისურ და ფრანგულ ენაზე შესრულებული ოფიციალურად გამოქვეყნებული ვერსია წარმოადგენს.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმერი სისტემის მეშვეობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

© ფოტომასალა: ევროპის საბჭო

© ილუსტრაციები : Shutterstock

© გრაფიკული დიზაინი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

© ფორმატი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

© ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლო, სექტემბერი, 2022 წ.

შინაარსი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 5

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 5

სასამართლო პრაქტიკა 6

კონვენციის გავლენა 6

კონვენცია, თანამედროვე აქტი 7

კონვენციით შექმნილი სისტემის რეფორმები 8

დანართი 1 : მოკლედ კონვენციის შესახებ 10

დანართი 2: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს 15

დანართი 3: მნიშვნელოვანი თარიღები 16

დანართი 4: კონვენციის ოქმები 18

დანართი 5: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილი (ხელშეკრულება N 005) 22

ევროპული
კონვენციის
მნიშვნელობა მის მიერ
დაცულ უფლებებსა და
თავისუფლებებშია; აგრეთვე,
სისტემაში, რომელიც მან შექმნა
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს სახით, რომლის
ამოცანაა სახელმწიფოების მიერ მათზე
დაკისრებული ვალდებულებების
შესრულების ზედამხედველობა –
სისტემაში, რომელშიც ადამიანებს
შეუძლიათ, წარადგინონ განაცხადი
სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ მათი
უფლებები და თავისუფლებები
უგულებელყოფილია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირველი აქტია, რომელიც სავალდებულო ძალას სძენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ უფლებებს. იგი ადგენს აბსოლუტურ უფლებებს, რომელთა შეზღუდვის უფლებაც სახელმწიფოებს არ აქვთ. ეს უფლებებია, მაგალითად, სიცოცხლის უფლება და წამების აკრძალვა. კონვენცია ასევე ითვალისწინებს გარკვეულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა შეზღუდვაც დაშვებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგალითად, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

დამატებითი ოქმების მიღებით, თავდაპირველ ტექსტს დაემატა მრავალი უფლება, კერძოდ, სიკვდილით დასჯის აკრძალვა, საკუთრების დაცვა, თავისუფალი არჩევნების უფლება და გადაადგილების თავისუფლება.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპის საბჭოს სასამართლო ორგანო, განიხილავს კერძო პირების განაცხადებს და აგრეთვე სახელმწიფოთაშორის განაცხადებს. ეს უკანასკნელი შეტანილია კონვენციის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამჟამად, 46-მა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა არა მხოლოდ თავისი მოქალაქეებისთვის, არამედ ყველასთვის თავისი იურისდიქციის ფარგლებში, თუნდაც არაევროპელებისათვის.

სასამართლო პრაქტიკა

სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა აქვს, რომელიც სხვადასხვა საკითხს შეეხება. სასამართლო ხშირად ადგენს კონვენციის დარღვევას უსამართლო სამართალწარმოების ან ზედმეტად ხანგრძლივი სამართალწარმოების გამო. სასამართლო ხშირად განიხილავს აგრეთვე თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას და საკუთრების დაცვის უფლებას.

სასამართლოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი აქვს განხილული, მაგალითად, აბორტი, თვითმკვლელობაში დახმარება, პირადი ჩხრეკა, ოჯახში მონობა, ჰომოსექსუალების მიერ ბავშვის შვილად აყვანა, სკოლაში რელიგიური სიმბოლოების ტარება, ჟურნალისტური წყაროს დაცვა და დნმ-ის მონაცემების შენახვა.

კონვენციის გავლენა

სასამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვანი ზეგავლენის მიზეზი არის მისი გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა. სახელმწიფოს, რომელმაც დაარღვია კონვენცია, მოეთხოვება, უზრუნველყოს განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და შეძლებისდაგვარად გამოასწოროს დარღვევით გამოწვეული ნებისმიერი შედეგი. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მსგავსი დარღვევა აღარ განმეორდეს. ანუ, აღარავინ იყოს ამ დარღვევის მსხვერპლი. პრაქტიკაში ეს ხშირად იწვევს კანონმდებლობის ცვლილებას.



სახელმწიფოები ცვლიან კანონმდებლობასა თუ პრაქტიკას, რათა ისინი კონვენციასთან შესაბამისობაში მოიყვანონ და ამით საშუალებას აძლევენ ყველას, ისარგებლონ ადამიანის უფლებების დაცვის შემდგომი განვითარებით. ამრიგად, ერთმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, გავლენა იქონიოს სახელმწიფოს მთელ მოსახლეობაზე. გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობა ეკისრება ევროპის საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს, მინისტრთა კომიტეტს.

სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგად გატარებული ცვლილებების შედეგად, მაგალითად, კვიპროსმა სრულწლოვან პირებს შორის ურთიერთთანხმობით დამყარებული ჰომოსექსუალური ურთიერთობის დანაშაულებრიობა გააუქმა; დანიაში კავშირის წევრობა სავალდებულო აღარ არის; საფრანგეთი მემკვიდრეობის თანაბარ უფლებებს აღიარებს კანონიერი შვილებისა და ქორწინების გარეთ დაბადებული შვილებისთვის; გაერთიანებულმა სამეფომ საჯარო სკოლებში სხეულებრივი დასჯა აკრძალა; შვეიცარიამ სატელეფონო მოსმენების რეგულირების მიზნით კანონი მიიღო და ბევრმა ქვეყანამ შემოიღო სამართლებრივი დაცვის საშუალებები დაუსაბუთებლად გახანგრძლივებული საქმისწარმოების გამო საჩივრის განსახილველად.

კონვენცია, თანამედროვე აქტი

კონვენციის ძალასა და მის უაღრესად თანადროულ ხასიათს განაპირობებს ის, თუ როგორ განმარტავს მას სასამართლო – დინამიკურად და არსებული პირობების გათვალისწინებით. პრეცედენტული სამართლის მეშვეობით, სასამართლომ კონვენციით გარანტირებული უფლებები გააფართოვა, იმგვარად, რომ დღეს კონვენციის დებულებები ვრცელდება სიტუაციებზე, რომლებიც აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი და წარმოუდგენელი იყო მისი მიღებისას. კონვენცია, მაგალითად, ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიები, ბიოეთიკა და გარემოს დაცვა. კონვენცია ასევე ვრცელდება ისეთ საზოგადოებრივ და სენსიტიურ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, ტერორიზმი და მიგრაცია.

კონვენციით შექმნილი სისტემის რეფორმები

1959 წელს დაარსების შემდეგ, სასამართლომ დაასრულა 910 000 განაცხადის განხილვა, რომლის შედეგადაც გამოიტანა გადაწყვეტილება ან განჩინება, ან ამორიცხა განაცხადი განსახილველ საქმეთა სიიდან.

საქმეების მზარდი მოცულობის გამო, ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს კონვენციის სხვადასხვა ოქმი, თავდაპირველი საზედამხედველო მექანიზმის გაუმჯობესებისა და გაძლიერების მიზნით. შედეგად, შეიქმნა ახალი სასამართლო სტრუქტურები, რომლებიც მარტივ საქმეებს განიხილავენ.

პარალელურად, სასამართლომ ასევე გადასინჯა თავისი სამუშაო მეთოდები ქმედითობის ამაღლებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით. მაგალითად, მან შეიმუშავა განჩინების გამოტანის საპილოტე პროცედურა, რომლის მეშვეობითაც განიხილება მრავალრიცხოვანი მსგავსი განაცხადები, რომლებიც ასევე სისტემური პრობლემის სახით მოიხსენიება და რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის კონვენციასთან შეუსაბამობიდან გამომდინარეობს.

სასამართლომ ასევე შეიმუშავა პრიორიტეტულობის მინიჭების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს საკითხის მნიშვნელობასა და მისი დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობას, განაცხადების განხილვის თანმიმდევრობის განსაზღვრისას.

კონვენცია შეიქმნა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მტკიცე გადაწყვეტილების საფუძველზე, ისტორიას ჩაბარდეს მეორე მსოფლიო ომის დანაშაულები. 1949 წელს, ათმა სახელმწიფომ დააფუძნა ევროპის საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის პატივისცემას მთელ ევროპაში. მომდევნო წელს, თორმეტმა სახელმწიფომ მიიღო კონვენცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სასამართლო, სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, შეიქმნა საერთაშორისო სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდებოდა სახელმწიფოებზე და რომელიც ავალდებულებდა მათ, შეეცვალათ კანონმდებლობა.

დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, კონვენცია არის ევროპის საბჭოს ქვაკუთხედი და ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელსაც სურს, გახდეს ორგანიზაციის წევრი, ხელი უნდა მოაწეროს მას და მოახდინოს მისი რატიფიკაცია. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ეყრდნობიან ეროვნული სასამართლოები ევროპის კონტინენტზე და მის საზღვრებს მიღმაც.

დანართი 1 : მოკლედ კონვენციის შესახებ

მუხლი 1
ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარ ან მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების კონვენციით დაცული უფლებებითა და თავისუფლებებით უზრუნველყოფა.

მუხლი 2
სიცოცხლის უფლება

ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის უფლებას იცავს კანონი.

მუხლი 3
წამების აკრძალვა

დაუშვებელია ადამიანის წამება ან მის მიმართ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა.

მუხლი 4
მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

დაუშვებელია ვინმეს დამონება ან შრომით საქმიანობაში იძულებით ჩაბმა.

მუხლი 5
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

ყველას აქვს თავისუფლების უფლება.

დაკავებისას ყველას აქვს უფლება, უმოკლეს ვადაში განემარტოს დაკავების მიზეზი.

დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეს მოსამართლის წინაშე და მისი საქმე განხილული იქნეს გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის სასამართლოს მიერ განხილვამდე.

მუხლი 6
სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

ყველას აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება გონივრულ ვადებში, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ყველა ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ ბრალეულობის დამტკიცებამდე. მათ მყისიერად უნდა ეცნობოთ წაყენებული ბრალდება, რათა შეძლონ სათანადო დაცვის მომზადება. ყველას აქვს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე ყოლის უფლება, თუკი თავად ამ ხარჯების გაღების საშუალება არ გააჩნია.

მუხლი 7
არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

არავინ შეიძლება იქნეს ცნობილი დამნაშავედ ისეთი ქმედებისთვის, რომელიც ჩადენის მომენტში დანაშაულს არ წარმოადგენდა.

მუხლი 8
პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

ყველას აქვს უფლება, დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

მუხლი 9
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ყველას აქვს უფლება, როგორც საჯაროდ, ისე განკერძოებით განახორციელოს რელიგიური აქტივობა და შეიცვალოს მრწამსი.

მუხლი 10
გამოხატვის თავისუფლება

ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს მოიცავს ადამიანის უფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულებები და გაავრცელოს და მიიღოს იდეები და ინფორმაცია.

მუხლი 11

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მშვიდობიან შეკრებებში, ასევე ჩამოაყალიბოს ან გაწევრიანდეს გაერთიანებებში, მათ შორის პროფესიულ კავშირებში.

მუხლი 12

ქორწინების უფლება

ყველას აქვს უფლება იქორწინოს და შექმნას ოჯახი.

მუხლი 13

სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება

ყველას აქვს უფლება, საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

კონვენციით გარანტირებული უფლებებით და თავისუფლებებით დაცულია ყველა განურჩევლად სქესისა, კანის ფერისა, რელიგიური მრწამსისა, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ წარმომავლობისა.

მუხლი 34

ინდივიდუალური საჩივარი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება ხელშეუხებელია. დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ ამ უფლების განხორციელებაში რაიმე მიზეზით ჩარევა.

ოქმი №1, მუხლი 1

საკუთრების დაცვა

ყველას აქვს ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლება.

ოქმი №1, მუხლი 2

განათლების უფლება

ყველას აქვს განათლების მიღებისა და სწავლების უფლება.

ოქმი №1, მუხლი 3

თავისუფალი არჩევნების უფლება

ყველას აქვს უფლება, ფარული კენჭისყრის გზით, მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო ორგანოს (მაგ. ეროვნული პარლამენტის) და ევროპული პარლამენტის არჩევნებში.

ოქმი №4, მუხლი 2

გადაადგილების თავისუფლება

ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე, აქვს ამ ქვეყნის შიგნით თავისუფლად გადაადგილებისა და სასურველი საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

ოქმი №6, მუხლი 1

სიკვდილით დასჯის გაუქმება

დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ სიკვდილის მისჯა ან მისჯილი სიკვდილის აღსრულება.

ოქმი №7, მუხლი 2

სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება

ყველა მსჯავრდებულს აქვს განაჩენის ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

ოქმი №7, მუხლი 3

- **კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის**

ნებისმიერ პიროვნებას აქვს კომპენსაციის მიღების უფლება თუ მსჯავრდების შემდეგ გაირკვა, რომ ის უდანაშაულოა.

ოქმი №7, მუხლი 4

- **ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა**

არავინ შეილება სისხლის სამართლის წესით გასამართლდეს ორჯერ ერთი და იმავე დანაშაულისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამტკიცდება ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები.

ოქმი №7, მუხლი 5

- **მეუღლეთა თანასწორობა**

ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს გააჩნიათ თანასწორი უფლება-მოვალეობები როგორც ერთმანეთის, ასევე მათი შვილების მიმართ.

ოქმი №12, მუხლი 1

- **დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა**

ყველა, დისკრიმინაციის გარეშე, სარგებლობს საკუთარი უფლებებით სქესის, კანის ფერის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური მრწამსისა თუ წარმომავლობის განურჩევლად.

ოქმი №13, მუხლი 1

- **სიკვდილით დასჯის გაუქმება**

სიკვდილით დასჯა აკრძალულია. მათ შორის, ომის პირობებშიც.

დანართი 2: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს

(ასევე ცნობილია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია)

- ბელგიის სამეფოს მთავრობის მხრიდან – **პოლ ვან ზელანდი**
- დანიის სამეფოს მთავრობის მხრიდან – **ოტო კარლ მორი**
- საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან – **რობერტ შუმანი**
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან – **ვალტერ ჰალშტაინი**
- ისლანდიის რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან – **პეტურ ბენედიქტსონი**
- ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან – **შონ მაკბრაიდი**
- იტალიის რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან – **კარლო სფორცა**
- ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობის მხრიდან – **ჯოზეფ ბეხი**
- ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მხრიდან – **დირკ შტიკერი**
- ნორვეგიის სამეფოს მთავრობის მხრიდან – **ჰალვარდ მანტაი ლანგე**
- ზაარის მთავრობის მხრიდან – **ედგარ ჰექტორი**
- თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან – **მეჰმეთ ფუათ კოპრულუ**
- დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მხრიდან – **ერნესტ დეივისი**

დანართი 3: მნიშვნელოვანი თარიღები

1949 წლის 5 მაისი

- *ევროპის საბჭოს დაარსების შესახებ ლონდონის ხელშეკრულების ხელმოწერა.*

1950 წლის 4 ნოემბერი

- *რომში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ხელმოწერა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.*

1953 წლის 3 სექტემბერი

- *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძალაში შესვლა.*

1959 წლის 21 იანვარი

- *ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა პირველი არჩევნები.*

1960 წლის 14 ნოემბერი

- *სასამართლო იღებს პირველ გადაწყვეტილებას: ლოლესი ირლანდიის წინააღმდეგ.*

1998 წლის 1 ნოემბერი

- *ახალი სასამართლოს შექმნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N11 ოქმის შესაბამისად. ეს მუდმივმოქმედი სასამართლო ანაცვლებს მანამდე არსებულ საზედამხედველო სისტემას.*

2010 წლის 1 ივნისი

- *საქმეთა განხილვის დაჩქარების მიზნით, ახალი სასამართლო სტრუქტურების შექმნა. ამიერიდან, მოსამართლეები გამწესდებიან ცხრა წლის ვადით, მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობის გარეშე.*

დანართი 4: კონვენციის ოქმები

დამატებითი ოქმი,

- ძალაში შესვლის თარიღი: 1954 წლის 18 მაისი

რომელიც ცნობილია როგორც N1 ოქმი: ითვალისწინებს ახალ უფლებებს, კერძოდ,საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებას, განათლების უფლებას და ფარული კენჭისყრით თავისუფალი არჩევნების უფლებას.

ოქმი N2:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1970 წლის 21 სექტემბერი

ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე გასცეს საკონსულტაციო დასკვნები.

ოქმი N 3:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1970 წლის 21 სექტემბერი

ცვლილებები შევიდა კონვენციის 29-ე, 30-ე და 34-ე მუხლებში.

ოქმი N4:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1968 წლის 2 მაისი

ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის აკრძალვას სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას, მოქალაქეთა გაძევების და უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვას.

ოქმი N5:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1971 წლის 20 დეკემბერი

ცვლილებები შევიდა კონვენციის 22-ე და მე-40 მუხლებში.

ოქმი N6:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1985 წლის 1 მარტი

ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

ოქმი N7:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1988 წლის 1 ნოემბერი

ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლებას, კომპენსაციის უფლებას მცდარი მსჯავრდებისთვის, ხელმეორედ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვას და მეუღლეთა თანასწორობას.

ოქმი N8:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1990 წლის 1 იანვარი

ცვლილებები შეაქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის საქმიანობაში.

ოქმი N9:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1994 წლის 1 ოქტომბერი

განმცხადებელს აძლევს უფლებას, გარკვეულ ვითარებაში მოსთხოვოს სასამართლოს მისი საქმის განხილვა.

ოქმი N10:

- ხელმოწერის თარიღი: 1992 წლის 25 მარტი

აუმჯობესებს კონვენციის ადრე არსებულ საზედამხედველო სამართალწარმოებას (ამ აქტმა დაკარგა დანიშნულება N11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ).

ოქმი N11:

- ძალაში შესვლის თარიღი: 1998 წლის 1 ნოემბერი

"ახალი სასამართლოს" დაარსება.

ოქმი N12:

- ძალაში შესვლის თარიღი: 2005 წლის 1 აპრილი

ითვალისწინებს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას.

ოქმი N13:

- ძალაში შესვლის თარიღი: 2003 წლის 1 ივლისი

ეხება სიკვდილით დასჯის აკრძალვას ყველა ვითარებაში.

ოქმი N14:

- ძალაში შესვლის თარიღი: 2010 წლის 1 ივნისი

ითვალისწინებს მარტივი საქმეების განხილვისთვის ახალი სასამართლო სტრუქტურების შექმნას და დასაშვებობის ახალ კრიტერიუმებს. ამ ოქმით ასევე გაგრძელდა მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა ექვსიდან ცხრა წლამდე, მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობის გარეშე.

ოქმი N15:

- ძალაში შესვლის თარიღი: 2021 წლის 1 აგვისტო

ითვალისწინებს სუბსიდიარობის პრინციპსა და მიხედულების ფარგლების დოქტრინას. ამცირებს სასამართლოსთვის მიმართვის ვადას ექვსიდან ოთხ თვემდე.

ოქმი N16:

- ძალაში შესვლის თარიღი: 2018 წლის 1 აგვისტო

საშუალებას აძლევს ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმაღლეს სასამართლოებს, მიმართონ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად.

დანართი 5: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილი (ხელშეკრულება N 005)

	ხელმოწერა	რატიფიკაცია	ძალაში შესვლა
ალბანეთი	13/07/1995	02/10/1996	02/10/1996
ანდორა	10/11/1994	22/01/1996	22/01/1996
სომხეთი	25/01/2001	26/04/2002	26/04/2002
ავსტრია	13/12/1957	03/09/1958	03/09/1958
აზერბაიჯანი	25/01/2001	15/04/2002	15/04/2002
ბელგია	04/11/1950	14/06/1955	14/06/1955
ბოსნია და ჰერცეგოვინა	24/04/2002	12/07/2002	12/07/2002
ბულგარეთი	07/05/1992	07/09/1992	07/09/1992
ხორვატია	06/11/1996	05/11/1997	05/11/1997
კვიპროსი	16/12/1961	06/10/1962	06/10/1962
ჩეხეთის რესპუბლიკა	21/02/1991	18/03/1992	01/01/1993
დანია	04/11/1950	13/04/1953	03/09/1953
ესტონეთი	14/05/1993	16/04/1996	16/04/1996
ფინეთი	05/05/1989	10/05/1990	10/05/1990
საფრანგეთი	04/11/1950	03/05/1974	03/05/1974
საქართველო	27/04/1999	20/05/1999	20/05/1999
გერმანია	04/11/1950	05/12/1952	03/09/1953
საბერძნეთი	28/11/1950	28/11/1974	28/11/1974
უნგრეთი	06/11/1990	05/11/1992	05/11/1992
ისლანდია	04/11/1950	29/06/1953	03/09/1953
ირლანდია	04/11/1950	25/02/1953	03/09/1953
იტალია	04/11/1950	26/10/1955	26/10/1955
ლატვია	10/02/1995	27/06/1997	27/06/1997
ლიხტენშტაინი	23/11/1978	08/09/1982	08/09/1982
ლიეტუვა	14/05/1993	20/06/1995	20/06/1995

	ხელმოწერა	რატიფიკაცია	ძალაში შესვლა
ლუქსემბურგი	04/11/1950	03/09/1953	03/09/1953
მალტა	12/12/1966	23/01/1967	23/01/1967
მოლდავეთის რესპუბლიკა	13/07/1995	12/09/1997	12/09/1997
მონაკო	05/10/2004	30/11/2005	30/11/2005
მონტენეგრო	03/04/2003	03/03/2004	06/06/2006
ნიდერლანდები	04/11/1950	31/08/1954	31/08/1954
ჩრდილოეთი მაკედონია	09/11/1995	10/04/1997	10/04/1997
ნორვეგია	04/11/1950	15/01/1952	03/09/1953
პოლონეთი	26/11/1991	19/01/1993	19/01/1993
პორტუგალია	22/09/1976	09/11/1978	09/11/1978
რუმინეთი	07/10/1993	20/06/1994	20/06/1994
რუსეთის ფედერაცია*	28/02/1996	05/05/1998	05/05/1998
სან მარინო	16/11/1988	22/03/1989	22/03/1989
სერბეთი	03/04/2003	03/03/2004	03/03/2004
სლოვაკეთის რესპუბლიკა	21/02/1991	18/03/1992	01/01/1993
სლოვენია	14/05/1993	28/06/1994	28/06/1994
ესპანეთი	24/11/1977	04/10/1979	04/10/1979
შვედეთი	28/11/1950	04/02/1952	03/09/1953
შვეიცარია	21/12/1972	28/11/1974	28/11/1974
თურქეთი	04/11/1950	18/05/1954	18/05/1954
უკრაინა	09/11/1995	11/09/1997	11/09/1997
გაერთიანებული სამეფო	04/11/1950	08/03/1951	03/09/1953

* 2022 წლის 16 სექტემბრიდან მოყოლებული რუსეთის ფედერაცია აღარ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე მხარე.

კონვენციის ოქმების ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილი შეგიძლიათ, იხილოთ ვებგვერდზე: www.coe.int/en/web/conventions.

კონვენციის ორიგინალი

KAT

www.echr.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE